ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ა კ ა დ ე მ ი უ რ ი ს ა ბ ჭ ო

მისამართი: 6010, ქ. ბათუმი,
ნინოშვილის ქ., №35

ტელ/ფაქსი: (+995 422) 27 17 87
ელ. ფოსტა: info@bsu.edu.ge

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 80

2016 წლის 23 სექტემბერი,
ქ. ბათუმი

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების დირექტორების კანდიდატურების შესარჩევი ღია კონკურსის გამოცხადების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 21-ე მუხლის 1-ლი პუნქტის და 22-ე მუხლის, საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-8, 24[4]-ე მუხლების, ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2016 წლის 12 სექტემბრის №07, №8 და №9 გადაწყვეტილებებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების - ,,ფიტოპათოლოგიისა და ბიომრავალფეროვნების ინსტიტუტის“ დებულების, საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის ,,აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების ინსტიტუტის“ დებულებისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის ,,ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის“ დებულების, ფიტოპათოლოგიისა და ბიომრავალფეროვნების ინსტიტუტის დროებითი სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარის მარიამ მეტრეველის 2016 წლის 15 სექტემბრის MES 5 16 01077031, აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების ინსტიტუტის დროებითი სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის, სამეცნიერო განყოფილების უფროსის ზურაბ მიქელაძის 2016 წლის 16 სექტემბრის MES 1 16 01088107 და ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის ისტორიისა და არქეოლოგიის განყოფილების უფროსის, სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარის ბიჭიკო დიასამიძის 2016 წლის 19 სექტემბრის MES 3 16 01096182 სამსახურებრივი ბარათების საფუძველზე, აკადემიურმა საბჭომ

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. გამოცხადდეს ღია კონკურსი საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის თითოეული დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის: ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის, აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების ინსტიტუტის და ფიტოპათოლოგიისა და ბიომრავალფეროვნების ინსტიტუტის დირექტორების კანდიდატურების შესარჩევად.

2. დირექტორის შესარჩევ ღია კონკურსში მონაწილეობის მიზნით, კანდიდატმა, რომელიც არ არის მიღწეული 65 წელს, უნდა წარმოადგინოს:

ა) პირადობის მოწმობის ასლი;

ბ) ფერადი ფოტო, ზომით ¾;

გ) უმაღლესი განათლების (დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის) მიღების დამადასტურებელი დოკუმენტი;

დ) ინსტიტუტის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის მიმართულებით (განსაზღვრული შესაბამისი ინსტიტუტის დებულების მე-2 მუხლის მე-3 პუნქტით) არანაკლებ 6 წლის გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტები (ცნობა სამუშაო ადგილიდან/შრომის წიგნაკის დამოწმებული ასლი/ საგრანტო სამეცნიერო-კვლევით პროექტებში მონაწილეობის დამადასტურებელი ან/და სხვა მტკიცებულება);

ე) ანკეტა (შევსებული **დანართი** 1-ის შესაბამისად, რომელშიც მითითებული იქნება კანდიდატის განსაკუთრებულ სამეცნიერო მიღწევაზე. ამასთან, წარმოდგენილი უნდა იქნეს აღნიშნულის დამადასტურებელი მტკიცებულება);

ვ) სამოქმედო გეგმა.

3. კანდიდატთა რეგისტრაცია იწარმოებს ბსუ–ს საარჩევნო კომისიაში (ქ. ბათუმი, ნინოშვილის ქ. №35, ოთახი №4), 2016 წლის 10 ოქტომბრიდან 17 ოქტომბრის ჩათვლით, შაბათ-კვირისა და სხვა უქმე დღეების გარდა, 10 სთ-დან 16 სთ-მდე.

4. საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის თითოეული დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის (ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტი; აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების ინსტიტუტი; ფიტოპათოლოგიისა და ბიომრავალფეროვნების ინსტიტუტი) სამეცნიერო საბჭოების მიერ დირექტორის შესარჩევი ღია კონკურსი (ფარული კენჭისყრა) ჩატარდეს 2016 წლის 21 ოქტომბერს, ბსუ-ს აკადემიური საბჭოს სამუშაო ოთახში (კენჭისყრა დაიწყება 15 საათზე და დამთავრდება 17 საათზე).

5. ბსუ-ს საარჩევნო კომისიას ეთხოვოს არჩევნების ორგანიზება-ჩატარებისათვის ბსუ-ს წესდებით, ბსუ-ს საარჩევნო დებულებითა და დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების დებულებებით გათვალისწინებული ღონისძიებების გატარება.

6. ბსუ-ს თითოეული დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სამეცნიერო საბჭოს მიერ შერჩეული კანდიდატურების დამტკიცების საკითხი ბსუ-ს აკადემიური საბჭოს მიერ განხილული იქნეს 2016 წლის 26 ოქტომბრის სხდომაზე.

7. დადგენილება გასაცნობად და აღსასრულებლად დაეგზავნოს ბსუ-ს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს და განთავსდეს ბსუ-ს ოფიციალურ ვებგვერდზე, რომლის უზრუნველყოფა დაევალოს ბსუ-ს საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, ასევე განთავსდეს დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების (ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტი; აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების ინსტიტუტი; ფიტოპათოლოგიისა და ბიომრავალფეროვნების ინსტიტუტი) და ბსუ-ს კანცელარიასთან არსებულ საინფორმაციო დაფებზე.

8. წინამდებარე დადგენილება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს ძალაში შესვლის დღიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქ. №30).

9. დადგენილება ძალაში შედის ბსუ-ს ვებგვერდზე გამოქვეყნებისთანავე.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორი, ასოც. პროფესორი **მერაბ ხალვაში**

დანართი N1

კანდიდატის ანკეტა

გვარი	
სახელი	
მამის სახელი	
დაბადების თარიღი	
მოქალაქეობა	
მისამართი	
ტელეფონი	
ელ. ფოსტა	
ბოლო სამსახურეობრივი პოზიცია	

I. კატეგორია: განათლება, აკადემიური ხარისხი და სამსახურეობრივი გამოცდილება
1.1 განათლება

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, ფაკულტეტი	ჩარიცხვისა და დამთავრების წლები	კვალიფიკაცია

1.2. აკადემიური/სამეცნიერო ხარისხი

დისერტაციის დაცვის თარიღი	
დისერტაციის თემა	
მინიჭებული კვალიფიკაცია	
კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტის ნომერი	

1.3. სამუშაო გამოცდილება, მათ შორის ინსტიტუტის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შესაბამისი მიმართულებით არანაკლებ 6 (ექვსი) წლით მუშაობის

თარიღი	დაწესებულების დასახელება და დაკავებული თანამდებობა

1.4. კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები, ტრენინგები (ბოლო 6 წლის განმავლობაში)

თარიღი	კურსების/ტრენინგების დასახელება	დიპლომის/სერთიფიკატის ნომერი

1.5. მნიშვნელოვანი პუბლიკაციები კონკურსანტის შეხედულებისამებრ (ბოლო 6 წლის განმავლობაში)
(ცხრილი შეავსეთ ქრონოლოგიური თანმიმდევრობის დაცვით, დაიწყეთ უახლესი ინფორმაციით).

№	ავტორები ყველა თანაავტორის მითითებით; კონკურსანტის გვარი გამოყოფილი უნდა იქნეს მუქი შრიფტით	პუბლიკაციის სახეობა (მონოგრაფია, სტატია რეცენზირებად, საერთაშორისო, უცხოურ, ადგილობრივ ჟურნალში, საკონფერენციო მასალები P და სხვა)	პუბლიკაციის სათაური, ავტორები. ჟურნალის/ გამომცემლობის დასახელება, ტიპი/ტომი, გვერდები, პუბლიკაციის ელექტრონული მისამართი (არსებობის შემთხვევაში)	გამოქვეყნების წელი

1.6. პატენტები (გამოგონებები)

№	გაცემის წელი	პატენტის დასახელება	პატენტის გამცემი ორგანიზაცია	პატენტის სარეგისტრაციო ნომერი

1.7. განსაკუთრებული სამეცნიერო მიღწევა (მიღწევები):

1	თარიღი	
	მოხსენების სათაური	
	კონფერენციის დასახელება	
	ჩატარების ადგილი	
	ელექტრონული მისამართი	
2	თარიღი	

1.8. საგრანტო/სახელშეკრულებო პროექტებში მონაწილეობა

№	განხორციელების წლები	დონორი ორგანიზაცია, პროექტის/ხელშეკრულების №	პროექტის დასახელება	როლი პროექტში

1.9. საკონკურსო კომისიისათვის შესაფასებლად წარმოდგენილი ბოლო 6 წლის განმავლობაში შესრულებული ერთი ნაშრომი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

პუბლიკაციის სახეობა	პუბლიკაციის სათაური, ავტორები, ჟურნალის/გამომცემლობის დასახელება, ტიპი/ტომი, გვერდები, პუბლიკაციის ელექტრონული მისამართი	გამოქვეყნების წელი

II. კატეგორია: სხვა სახის აქტივობა

(მიღწევები, გამოცდილება, დამსახურება, სტიპენდია, ჯილდო, ახალგაზრდა თაობის დაინტერესება ბსუ–ში სწავლითა და სამეცნიერო მიმართულებით, კომპიუტერთან მუშაობის უნარები, ენების ცოდნა და სხვ.)

№	აქტივობის დასახელება

ინფორმაციის სისწორეს ვადასტურებ

_____

ხელმოწერა გარკვევით

თარიღი